პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 დეკემბერი ოთხშაბათი 9 სექტემბერი № 208 (18150) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ყოველი დღე — დამკვრელური!

ქიმია და მოსავალი

ერთა — ჩვენი მარჩენალი და მახარებელი თავისივე შვილთა შეწევნით სულდგმულობს, იზრდება და მრავლდება, მდიდრდება და ლამაზ იმატებს, თუკი გონიერი პატრონი მიღებული მოსავლის სანაცვლოდ მინერალური და ორგანულ პროდუქტებს უკანვე უბრუნებს. უფრო გონივრული კი ის არის, რომ ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა ბალანსის წონასწორობის შენარჩუნებისათვის ისინი იმაზე მეტი შევიტანოთ, ვიდრე მოსავლით ვართმევთ. ამ საქმეში მიწათმოქმედს დიდ სამსახურს უწევს ქიმია, რომელიც ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებით ბევრად განსაზღვრავს მოსავლიანობისა და წარმოების ინტენსიფიკაციის დონეს.

მიწათმოქმედების ქიმიზაცია ამჟამად რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კომპლექსური განვითარების ერთ-ერთი მთავარი რგოლი გახდა. წლეულს 8 თვეში ჩვენმა სოფლის მეურნეობამ მიიღო 550 ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქი, 88 ათასი ტონით მეტი, ვიდრე მთელ 1980 წელს. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წლეულს შარშანდელთან შედარებით 30 ათასი ტონით მეტი ორგანული სასუქი შეიტანეს ნიადაგში.

ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ამ დიდი შესაძლებლობის ეფექტიანი გამოყენებით მიწათმოქმედები მნიშვნელოვნად ზრდიან მოსავლიანობას. მაგალითად, აბაშის რაიონში, სადაც სახნავ-სათესს რაიონალურად აპობიერებენ, ბოლო წლებში გაორკეცება სიმინდის მარცვლის მეჭარბრივი მოსავლიანობა. მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის რეკომენდაციების შესაბამისად ნიადაგში სასუქის გონივრულად შეტანის წყალობით ყურძნის მოსავლიანობამ მნიშვნელოვნად მოიმატა გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში, ჩაის ფოთლისამ — მახარაძის, ქობულეთის, წალენჯიხისა და სხვა რაიონებში.

მაგრამ მინერალურ სასუქებსა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდება. შარშან, მაგალითად, რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა მიიღეს ფოსფორიანი სასუქის საჭირო რაოდენობის მხოლოდ ნახევარი, აზოტიანისა — 64 პროცენტი. ამაში ბრალი მიუძღვის რუსთავის ქიმიურ კომბინატს. მან შარშან და წლეულს სოფლის მეურნეობას 300 ათას ტონამდე მინერალური სასუქი დააკლო. ეტყობა, ამ საწარმოს ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ კარგად ვერ წარმოუდგენია სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების მთელი მნიშვნელობა და აქტუალურობა, ამ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ქიმიური ინდუსტრიის მუშაკების დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ხაზი გაუსვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე. „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა შორის, — თქვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — უაღრესად სერიოზულ უურადღებას იმსახურებს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოების შემდგომი განვითარება. უამისოდ ახლა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ვერ გადავიყვანთ ხწრაფი აღმავლობის გზაზე“.

ამჟამინდელ სიტუაციაში, როცა სასუქები — სოფლის მეურნეობის დაჩქარებული აღმავლობის მძლავრი საშუალება — არ გვყოფნის და რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დანაკლისის შევსებას სისტემატურად საკავშირო ორგანოებს სთხოვს, ზოგი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სასუქებს უყაირათოდ, ნიადაგში შეტანის დოზის დაუდგენლად იყენებს. მაგალითად, მცხეთის რაიონის ნიჩბისის მეურნეობაში ზოგ მინდორში ნორმაზე ორჯერ მეტი სასუქები შეიტანეს, ზოგან კი აღარ ეყოთ. სასუქის შეტანის დოზა ორჯერ აჭრის გზრდილი მეკარტოფილეობის რაიონებში, მაგრამ მოსავლიანობა შესაბამისად როდი გადიდებულა; სასუქების გონივრული გამოყენებისათვის „საქსოფლქიმიის“ რეკომენდაციებს და კარტოგრამებს უგულებელყოფენ გორის, წულუკიძის რაიონების, წყალტუბოს ზონის ცალკეული მეურნეობები.

რედაქციაში მოდის სიგნალები იმის თაობაზე, რომ ზოგან ბევრი სასუქი იკარგება და ფუჭდება მისი დაუდევრად, შეუფერებელ ფარდულებში და ღია ცის ქვეშ შენახვის გამო.

ბევრ რაიონში არც ადგილობრივი ორგანული სასუქების მაქსიმალურ დაგროვებასა და ნიადაგში შეტანას ექცევა ჯეროვანი ყურადღება. შარშანდელთან შედარებით წლეულს ამ იაფი სასუქის გამოყენების მოცულობა შეამცირეს ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენის, გორის, წითელწყაროს, თეთრი წყაროს, ონის, ლანჩხუთის რაიონებსა და აფხაზეთის მეურნეობებში, ორგანული სასუქების გამოყენების გეგმები სანახევროდაც არ არის რეალიზებული თელავის, ლაგოდეხის, დუშეთის, მაიაკოვსკისა და ზესტაფონის რაიონებში.

აჟაურმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ეს მდგომარეობა უნდა გამოასწორონ.

მოსახდენია და დიდ ზრუნვას მოითხოვს მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა. მართალია, ბოლო წლებში მცენარეთა დაცვის სამსახურმა გააუმჯობესა სიგნალიზაციისა და პროგნოზირების საქმე; მოსავლისა და მცენარეთა დაცვაში წარმოებას უფრო აქტიურად ეხმარებიან მეცნიერებიც. მაგალითად, მათი მონაწილეობით 3 ათას ჰექტარ კარტოფილის ნათესში სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდ პრომეტრინის გამოყენებით ყოველ ჰექტარზე 14,2 კილოდენთ შემცირდა შრომის დანახარჯები და დახარჯული თანხა ერთეულის მანეთის უკუგებამ 12 მანეთი შეადგინა. მაგრამ ჯერ კიდევ არცთუ იშვიათად დიდძალი მოსავალი იკარგება იმის გამო, რომ წამლობა გვიანდება ან უხარისხოდ ხორციელდება. პროფილაქტიკური ღონისძიებები. წლეულს წამლობის დაგვიანების გამო წითელწყაროში პურეულის აყანები ბუგრებმა დააზიანეს; გურჯაანის რაიონის მუკუზანის სახმოთა მეურნეობის, კაჯრეთის კოლმეურნეობის ვინახებს ბრაჭი და ყურძნის ბაი მოედო. იმის გამო, რომ დროულად არ განხორციელეს დაავადების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები, ყურძნის დიდძალი მოსავალი დაიკარგა სიღნაღის, ყვარლის, საგარეჯოს, თელავის და ახმეტის რაიონებში.

ყოველივე ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო, ამ საქმეში რაიონების ხელმძღვანელობას მეტი სიფხიზლე რომ გამოეჩინა, უფრო მკაცრად მოეკითხა მეურნეობათა თავკაცებისა და სპეციალისტებისათვის.

ხვალ-ზეგ რესპუბლიკაში საშემოდგომო თესვა დაიწყება. თესვის დროს მწკრივებში სუპერფოსფატის შეტანა მოსავლიანობას 2-3-ჯერ ზრდის, ხოლო სასუქის შეტანის ნორმა 4-5-ჯერ მცირდება.

ამ პროგრესულ მეთოდს ბოლო ხანებში მცირე მასშტაბით იყენებენ ხაშურის, ჭარელის, მცხეთის და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობები, ხოლო წითელწყაროს, სიღნაღის, გორის, მარნეულის, გარდაბნის რაიონებში ამ მოწინავე ხერხის მიმართ დაინტერესება არ გამოიჩინეს. ეს იმ დროს, როცა მათ ფოსფორიანი სასუქები არ ჰყოფნით და მის დახაზოგად ზემოხსენებული ღონისძიება დიდად დაეხმარებოდათ.

რესპუბლიკის ვრცელ ტერიტორიაზე — 58 ათას ჰექტარზე სასუქების შეტანის წინ უნდა განხორციელდეს მეავე ნიადაგების გაკირიანება. წლეულს ეს ღონისძიება, რომელიც ციტრუსოვანი კულტურების მოსავლიანობას 30-40 პროცენტით ადიდებს, 5 ათას ჰექტარზე დაგეგმილი, რაც შარშანდელ შესახამის მაჩვენებელს 5-ჯერ აღემატება. ეს საქმე დროზე კეთდება მახარაძის რაიონში, სადაც საგეგმო 200 ჰექტარის ნაცვლად ნიადაგი 256 ჰექტარზე გააკირიანეს; წყალტუბოს ზონის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის რაიონებისა და აფხაზეთის საზოგადოებრივ მეურნეობებს კი გეგმები მხოლოდ 7-25 პროცენტით აქვთ შესრულებული.

ახლა, როცა სოფლის მშრომელები დაძაბულად ირჯებიან სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მეტიდგის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებლად, მომავალი მოსავლისათვის საძირკვლის ჩასაყრელად, „საქსოფლქიმიის“, მისი ადგილობრივი ორგანოების მოვალეობაა დაეხმარონ მათ მინერალური სასუქების, სხვა ქიმიური პროდუქტების მომარაგებასა და მათს რაციონალურ გამოყენებაში.

ნიადაგების ნაყოფიერების გაუმჯობესების, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების თანამიმდევრული განხორციელება პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს მუდამ თვალთახედვის ცენტრში უნდა ჰქონდეთ. მათ ფართოდ უნდა გაშალონ მიწათმოქმედთა სოციალისტური შეჯიბრება სასუქების ეონივრული გამოყენებისათვის; მიიღწიონ იმას, რომ აგროტექნიკის განუხრელი დაცვით ყოველი ეფექტიანი სასუქი უხვი მოსავლით ნაზღაურდებოდეს.

მათი შრომა სამაგალითოა

მრავალი წელია, რაც ენგურჰესის მშენებელთა საპატიო დაფას ამშვენებს კომუნისტ რაიკო აღაიას პორტრეტი. თხუთმეტი წელია იგი სათავეში უდგას მემონტაჟე ხუროთა ბრიგადას. მისი ხელმძღვანელობით ეს კოლექტივი ერთ-ერთი ფრონტოვანი მშენებლობაზე. მან ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის პირადი დავალება და კიდევ უფრო მაღალი მიჯნები დაისახა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლისათვის.

კაშხალმშენის სამმართველოს ჰიდრომშენებელთა ეს ბრიგადა დღესაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით მუშაობს, ხოლო მთავრობის ჯილდოების კავალერი, რაიკო აღაია ყველაფერში მაგალითის მიმცემია.

სურათზე: ბრიგადირი რაიკო აღაია.
ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის „ელვის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების მმართველი გამომთვლელი მანქანების ქარხნის პროდუქციას კარგად იცნობენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. საწარმოს მიღწევებში თავისი დიდი წვლილი შეაქვს № 9 ელექტროსამონტაჟო საამქროს ერთ-ერთ საუკეთესო ელექტრომონტაჟეს მ. ელოვას, რომლის შრომა სამაგალითო და მისაბაძია.

ნაკლოვანებები წარმატებების ფონზე

—შევუქმნათ პირუტყვს მტკიცე საკვები ბაზა, — ამ დევიზით შრომობენ წლეულს ონის რაიონის მშრომელები. მათ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით დაამზადეს და ფერმებში დაბინავეს 2367 ტონით მეტი თივა, 984 ტონით მეტი სენაჟი და 453 ტონით მეტი სილოსი.

სილოსის ჩადება კარგად წარიმართა პიპილეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — უ. ტაბუცაძე). აქ დღემდე 516 ტონა სილოსია დამზადებული, ნაცვლად საგეგმო 400 ტონისა. მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა სენაჟის ჩადების გეგმა-დავალებაც, რაც ნიშნავს, რომ პიპილეთელთა პირუტყვს ზამთარში ყუთიანი საკვები საკმაოდ ექნება.

საერთო წარმატებათა ფონზე ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჯერ კიდევ ცუდად გამოიყურება თივის დამზადებისა და ფერმებთან დაბინავების საქმე. რაიონს 14285 ჰექტარი ბუნებრივი სათბი აქვს, საიდანაც წლეულს გეგმით 17 ათასი ტონა, ხოლო ვალდებულებით 20 ათასი ტონა თივა უნდა დაამზადონ. 8 სექტემბრისათვის გათიბული იყო ნახევარზე მეტი. ფერმებთან მიზიდულია 8947 ტონა თივა. თიბვის წლიური საგეგმო დავალება შესრულებულია მხოლოდ 52,6 პროცენტით.

თივის დამზადებაში ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია სათიბულებისა და ავტოტრანსპორტის ნაკლებობა. ბევრგან, ბალახი დიდი ხანია გათიბულია და ჭიანურდება მისი ფერმებთან მიზიდვა.

საკვების დამზადებისა და ფერმების ზამთრისათვის მომზადების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა შეუბნის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში. აქ 3640 ტონა თივიდან დღემდე დამზადებულია 1170 ტონა. არც სილოსის ჩადების დავალებაა შესრულებული.

დავთვალიერეთ საბჭოთა მეურნეობის შეუბნის განყოფილების ფერმა (გამგე — დ. გობეჯიშვილი). აქ ოთხასამდე სულმა პირუტყვმა უნდა გამოიზამთროს. ბოსლები კარგია, მაგრამ ადგილზე საკვების მიზიდვა ვერ მოუხერხებიათ. საგეგმო 400 ტონა თივის ნაცვლად ფერმასთან მხოლოდ 13 ტონა თივაა დაზვინული. ჯერ არ მოუმარაგებიათ სენაჟი და სილოსი. ამ გარემოებას აქ იმით ამართლებენ, რომ სათანადო ორმოები არ აქვთ. საკითხავია, ვინ უნდა გააკეთოს ეს ორმოები. განა დრო არ ჰქონდათ, რომ ამისათვის ეზრუნათ?

ფერმის ტერიტორიაზე წელს საკვებშესამზადებელი საამქრო ააგეს, მაგრამ წყლის ნაკლებობის გამო დღემდე უმოქმედოდაა. ამაზე ადრე უნდა ეფიქრათ, მაგრამ ახლაც შეიძლება საქმის გამოსწორება, რათა მეცხოველეები ზამთარში უწყლოდ არ დარჩნენ.

უფრო სავალალო მდგომარეობაა მეურნეობის კომანდლის განყოფილების ფერმაში (გამგე — შ. ხომასურიძე). სამი ბოსლიდან ორი ავარიულია. ორ ბოსელში იატაკია შესაცვლელი, ჩასასმელია მიწები, კედლები ნაკელით არის მოთხვრილი, თან გვერდზე გადაზნექილია და სადაცაა წაიქცევა. ფერმაში შრომატევადი სამუშაო პროცესების მექანიზაციაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ერთი სიტყვით, რაც აქედან პირუტყვი საზაფხულო იალაღებზე გარეკეს, ბოსლებს კაცის ხელი არ გაკარებია.

— წლეულს სათიბებში ბალახი ბევრია, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ი. ბერიშვილმა, — ამ პერიოდისათვის ამდენი თივა არც ერთ წელიწადს არ გვქონია. მაგრამ ფერმებთან მისი მიტანა გვიჭირს, ვინაიდან ავტოტრანსპორტი არ გვყოფნის. აქამდე „საქსახსოფლტექნიკის“ ონის რაიონული გაერთიანება ყოველდღე 4-5 ავტომანქანას გვახმარებდა, ახლა მხოლოდ ერთი მანქანა გამოვიდა სამუშაოდ. თუ ასე გაგრძელდა, ფერმები უსაკვებოდ დაგვრჩება.

პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მხრივ ვერც სორის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — კ. ჩიხრაძე) დაიკვეხნიან. აქ საკვების დასამზადებლად თადარიგი ადრე დაიჭირეს, მაგრამ ბოლო ხანს შუშაობის ტემპი შეანელეს. გეგმით გათვალისწინებული 4120 ტონა თივიდან დამზადებულია მხოლოდ 1307 ტონა. დამზადდა აგრეთვე 474 ტონა სილოსი, გეგმით კი 540 ტონა უნდა მოიმარაგონ.

რაიონში პრობლემა გახდა ფერმებთან თივის შესანახი ფარდულების მშენებლობა. დღემდე არსებულ ფარდულებში მხოლოდ 2500 ტონა თივა თავსდება. დანარჩენი საკვები ღია ცის ქვეშ იზვინება. ამის გამო თივის 25-30 პროცენტი ყუთიანობას კარგავს. ზარალობენ მეურნეობები, ფუჭად იკარგება შრომა. ამ საქმეს მიხედვა უნდა.

დრო არ ითმენს. ონის რაიონში საკვების მომარაგებისა და პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმე კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ოქტომბრის რევოლუციის ორდენით ამხანაგ ა. პ. კირილენკოს დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდამეთხუთმეტე წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ანდრია პავლეს ძე **კირილენკო** დაჯილდოდეს **ოქტომბრის** **რევოლუციის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1981 წლის 7 სექტემბერი.

მხურვალე მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ გრიშა ფილიპოვს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავთან და ბულგარეთის სახელმწიფოს 1300 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც წელს აღინიშნება.

დეპეშაში ნათქვამია: ბულგარეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განსაკუთრებული ნიშანსვეტია 1944 წლის 9 სექტემბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ამ გამარჯვებამ ბულგარეთის ძველთაძველ მიწა-წყალს მოუტანა ეროვნული და სოციალური განთავისუფლება, ფართო გზა გაუხსნა თავისუფალ განვითარებასა და საზოგადოებრივ პროგრესს, ახალი საზოგადოების მშენებლობას.

ბულგარეთისათვის ამ ღირსშესანიშნავ დღეებში საბჭოთა ადამიანები მოძმე ბულგარელ ხალხს ახალ წარმატებებს უსურვებენ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, პარტიის XII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

◆ ◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს ამხანაგ ლი დენ ოკს მიულოცეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 33-ე წლისთავი.

დეპეშაში ნათქვამია: 1948 წლის სექტემბერში კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა კოლონიური დამონების წინააღმდეგ კორეის ხალხის ხანგრძლივი ბრძოლისა და საბჭოთა არმიის მიერ მილიტარისტული იაპონიის განადგურების შედეგი გახდა.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დამყარებული ორი სახელმწიფოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება და განვითარება შეესაბამება ორივე ხალხის ინტერესებს, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ინტერესებს.

(საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით 7 სექტემბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლე ზუანთან ერთად იყვნენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტო ჰიუ, სხვა ვიეტნამელი ამხანაგები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა სადილზე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ლე ზუან! პატივცემულო ამხანაგებო!

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ვიეტნამის დღე გვაქვს. დილადან რამდენიმე საათი მივუძღვენით მოლაპარაკებას. ახლა კი კვლავ ვესაუბრებით ვიეტნამელ მეგობრებს, უკვე არაოფიციალურ ვითარებაში — სუფრასთან.

უწინარეს ყოვლისა, მინდა გამოვთქვა კმაყოფილება მოლაპარაკების შედეგების გამო. მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ ჩვენი წარმოდგენა დღევანდელობის ამოცანების შესახებ, სამომავლო შეხედულებანი ერთმანეთს არ შორდება, ერთნაირია.

გამართული მოლაპარაკება არ შეიცავს რაიმე საიდუმლოებას. ჩვენ განვიხილეთ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობის პერსპექტიული საკითხები. მომავალ წლებში იგი გაფართოვდება ყველა ხაზით. საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს სოციალისტურ მშენებლობას ვიეტნამში. დავეხმარებით ვიეტნამელ მეგობრებს უკეთ და უფრო სრულად გამოიყენონ საკუთარი მდიდარი რესურსები.

ბუნებრივია, ახლანდელ შფოთიან დროში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს საერთაშორისო პრობლემებს.

მოლაპარაკება ამხანაგ ლე ზუანთან, ისევე როგორც ამასწინანდელი ყირიმის შეხვედრები, ნათლად მოწმობს: საგარეო პოლიტიკაში ჩვენი საერთო კრედოა მშვიდობა, მშვიდობა ყველასათვის, საიმედო, სამართლიანი და ურღვევი მშვიდობა.

ასეთ მშვიდობას რომ მივაღწიოთ, საჭიროა არა იმდენად კარგი სიტყვები, რამდენადაც რეალური საქმეები, მზადყოფნა პრაქტიკულად ვუწევდეთ ანგარიშს სხვა სახელმწიფოთა უფლებებსა და ინტერესებს. და, რა თქმა უნდა, საჭიროა გვქონდეს იმის უნარი, რომ მოთმინებით ვეძებდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან სადავო საკითხების გადაწყვეტის გზებს. ხოლო ვმსჯელობდეთ „თავშეკავებისა და ნაცვალგების“ შესახებ და ამავე დროს ვახორციელებდეთ პროვოკაციულ, გამიზნულ პოლიტიკას, კერძოდ, შეიარაღების დარგში, ნიშნავს უფრო ვაღვივებდეთ უნდობლობას, ძირს ვუთხრიდეთ მშვიდობას.

უახლოეს ისტორიაში უკვე ყოფილა იმის ცდები, რომ გამხდარიყვნენ ყველაზე ძლიერი, დაეჩაგვრინათ მსოფლიო ლიდერობა, და კარგად არის ცნობილი, თუ რით მთავრდებოდა ასეთი ცდები.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, არასოდეს არ გვიძებნია და არც ვეძებთ სამხედრო უპირატესობას. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და ჩვენი მოკავშირეების უშიშროების საიმედო დაცვის გარდა სხვა საზრუნავი არა გვქონია და არც გვექნება. საბჭოთა კავშირი მუდამ მოუწოდებს ხელი აიღონ ახალი, კიდევ უფრო მრისხანე სახეობათა იარაღის შექმნაზე. მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი: გულგრილად ვერ მოვეკიდებით ამგვარი იარაღის გამოჩენას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა მონაწილეთა არსენალებში. თუ ეს მოხდება, საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ექნებათ ასეთი იარაღისადმი სათანადოდ დასაპირისპირებელი რამ.

ჩვენი პარტიის XXVI ყრილობამ წამოაყენა ოთხმოციანი წლების ფართო სამშვიდობო პროგრამა. საბჭოთა წინადადებანი მიმართული იყო ყველა ქვეყნისადმი, მათი მიზანია ემსახურონ ვითარების გაჯანსაღებას მსოფლიოს ყველა რაიონში.

ეს სავსებით ეხება აზიას. სად არის მშვიდობის უმწვავესი საჭიროება, თუ არა აზიაში. ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აზიის ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილში ყველაზე დაბალ დონეზეა. და იქვე, აზიაში, ძველ ჩაუქრობელ კოფლიქტებს ემატება ახალი. ავი ქარები ქრის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის თავზე. იმპერიალიზმისა და ჰეგემონიზმის ძალებს აშინებთ მშვიდი აზია.

ტრაგიკულია, რომ აზიის უდიდესი სახელმწიფოს — ჩინეთის ხელმძღვანელები ქვეყნის ძალებს ფლანგავენ ისეთი უმაღლო საქმისათვის, როგორიც არის საერთაშორისო კლიმატის გაუარესება. ისინი ცდილობენ ერთმანეთს წაეკიდონ აზიის ქვეყნები, წარმოშვან მტრობა საბჭოთა კავშირისადმი, ვიეტნამისადმი, სოციალიზმის სამყაროსადმი. ვიმეორებ, ეს ტრაგიკულია — და, უწინარეს ყოვლისა, თვით ჩინელი ხალხისათვის.

პეკინის საწინააღმდეგოდ აზიის ბევრი სახელმწიფო მხარს უჭერს მტკიცე კეთილმეზობლურ ურთიერთობას. ისინი არ ჰყვებიან ვამინგტონის ნებასაც. მათ სურთ დამოუკიდებელი ცხოვრებით იცხოვრონ. ასეთმა პოზიციამ შეიძლება მხოლოდ პატივისცემა გამოიწვიოს. აზიის ბატონ-პატრონები შეიძლება იყვნენ მხოლოდ თვით აზიელი ხალხები, რომლებსაც მშვიდობა და თავისუფლება სწყურიათ. მათ უფლება აქვთ უარყონ გარეგან ყოველი ჩარევა თავიანთ საქმეებში, თავიანთი საარსებო ინტერესების სფეროში.

მივესალმებით ინდოეთის, ინდოჩინეთის ქვეყნების, აზიის სხვა სახელმწიფოების საერთაშორისო გავლენის ზრდას, მათს აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო პოლიტიკაში. მივესალმებით ვიეტნამის მისწრაფებას — ლაოსთან და კამპუჩიასთან ერთად მიაღწიოს, რომ მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია მშვიდობისა და სტაბილურობის ზონად გადაიქცეს.

საერთაშორისო პოლიტიკაში, ისევე როგორც სხვა საქმეებშიც, კომუნისტებს კლასობრივი პოზიციები უკავიათ. ისინი გამოხატავენ მშრომელთა ინტერესებს, ხალხთა ინტერესებს. სწორედ ამიტომაც მტკიცედ მოითხოვენ ისინი დაძაბულობის შენელებას, განიარაღებასა და მშვიდობიან თანაარსებობას ყველა სახელმწიფოს შორის.

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას სტუმარს, ვიეტნამელ კომუნისტთა გამოჩენილ ხელმძღვანელს, ინტერნაციონალისტ-ლენინელს ამხანაგ ლე ზუანს;

გაუმარჯოს მომძმე ვიეტნამელ ხალხს; მისი კეთილშობილება და თავდადება პოვებს, აუცილებლად პოვებს, აღიარებას მთელ მსოფლიოში;

გაუმხარჯოს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მტკიცე მეგობრობას;

გაუმარჯოს ქვეყნად მშვიდობას!

●

სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლე ზუანმა.

ამხანაგ ლე ზუანის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ძვირფასო ამხანაგებო!

ვიეტნამის კომუნისტური პარტია და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა თანამიმდევრულად იღვწიან სსრ კავშირთან ძმური მეგობრობისა და ყოვლისმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, როგორც ამ ურთიერთობის ერთ-ერთ ფუძემდებელ, ხელმძღვანელ ძალებს, ეს ორ ქვეყანას, ორ ხალხს, ორ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის ბანერ-მატარებელ ძალებს ერთმანეთს ერთიანად ეკავებიან ადგილი ინტერნაციონალიზმ-ლენინელ ინტერნაციონალიზმ-ლენინელ ინტერნაციონალიზმ-ლენინელ

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

ბისა და სახელმწიფოების ძმური შეკავშირება კიდევ უფრო განმტკიცდა, ახალ საფეხურზე ავიდა ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის კავშირურთიერთობა ყველა დარგში. ჩვენ შორის გამართული აზრთა გაზიარების შესანიშნავი შედეგები, უეჭველია, ახალ დიდ შესაძლებლობებს დაუსახავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრკ კავშირის ყოველმხრივ თანამშრომლობას, მძლავრ სტიმულს მისცემს მთელ ჩვენს პარტიას, მთელ ჩვენს ხალხს, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის V ყრილობის ღირსეული შეხვედრებისათვის ყრილობაზე მიღებული დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ნება მიბოძეთ, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის, მთავრობისა და ხალხის სახელით ერთხელ კიდევ გულწრფელი და დიდი მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის სახელოვან კომუნისტურ პარტიას, დიდ საბჭოთა ხალხს, პირადად თქვენ, პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, უდიდესი დახმარებისა და ვიეტნამისადმი უცვლელი კეთილშობილური გრძნობებისათვის.

თანამედროვე ბობოქარ და რთულ საერთაშორისო სიტუაციაში განსაკუთრებით საჭიროა სოციალისტური თანამეგობრობის კომუნისტური პარტიებისა და სახელმწიფოების ერთიანობა და მოქმედების კოორდინაცია მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის. ამ მოთხოვნას სავსებით შეესაბამება ჩვენი დღევანდელი მოლაპარაკებაც.

რა უგუნურადაც უნდა მოქმედებდეს იმპერიალიზმი ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მეთაურობით, რომელმაც პირი შეკრა პეკინის მმართველი წრეების რეაქციულ ხროვასთან, იგი ვერ შეცვლის არსებულ მდგომარეობას. უცილობელ ისტორიულ კანონზომიერებად რჩება ის, რომ თანამედროვეობის სამი რევოლუციური ნაკადი თანამიმდევრულად განაგრძობს თავის ძლევამოსილ წინსვლას, ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს, ხოლო მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების ტენდენცია შეუქცევადია.

ამ ტენდენციის განვითარებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვანი წვლილია სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მოყალიბებული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა, რომლებსაც მხურვალედ იწონებს და მხარს უჭერს ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობა.

ლაოსის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკასთან ერთად ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა თანამიმდევრულად იბრძვის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის აზიაში, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობისა და სტაბილურობისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამისათვის ჩვენი ხალხი ცდილობს განვითაროს მეგობრობა და თანამშრომლობა დიდ ინდოელ ხალხთან, აზიის კონტინენტის სხვა ქვეყნების ხალხებთან.

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა მზად არის მოაწესრიგოს ურთიერთობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან მშვიდობიანი თანაარსებობის, ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთპატივისცემის პრინციპების, მოლაპარაკების გზით ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტის საფუძველზე. მაგრამ ამჟამად მდგომარეობა კვლავ არასასურველი მიმართულებით ვითარდება, და პასუხისმგებლობა ამისათვის მთლიანად ჩინეთის მხარეს ეკისრება.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის პრობლემები ამ რეგიონის ქვეყნების ხალხებმა უნდა გადაჭრან. ისინი შეიძლება გადაწყდეს ინდო-ჩინეთისა და ასეანის სახელმწიფოთა ორი ჯგუფის უშუალო დიალოგის გზით — გარედან ჩაურევლად, ვაშინგტონისა და პეკინის იმ მზაკვრული ზრახვების მტკიცე უკუგდების პირობებში, რომელთა მიზანია დაძაბულობის გამწვავება და კონფრონტაციის გაძლიერება რეგიონის ქვეყნებს შორის.

ძვირფასო ამხანაგებო!

აქტომბრის რევოლუციიდან ლენამდე უახლესი ისტორიის მთელი მომდინარეობა, ისევე როგორც კაცობრიობის მთელი შემდგომი განვითარება, იყო და განუყრელად იქნება დაკავშირებული საბჭოთა კავშირის — მშვიდობის მტკიცე ბურჯის მსოფლიო რევოლუციის საიმედო დასაყრდენის ძლიერების ზრდასთან.

ჩვენ შეგნებული გვაქვს ეს, და ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს წარმატებით განეხორციელებინოს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანები, მიეღწიოს ახალი, უფრო დიდი გამარჯვებებისთვის სსრ კავშირში კომუნიზმის აშენების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

დაე, განუხრელად ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი პარტიებისა და ხალხების დიადი მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა!

დღეგრძელობას ვუსურვებ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ვიეტნამელი ხალხის დიდ მეგობარს!

დღეგრძელობას ვუსურვებ საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებს!

დღეგრძელობას ვუსურვებ ყველა დამსწრე ამხანაგს!

●

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ლე ზუანის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს. აჰაერთგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

სადილმა გულთბილ, ძმურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გამართულ ზეიმზე გამოსვლისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის, მეცნიერების და ხელოვნების მიღწევებს. მაგრამ ამავე დროს ზოგიერთ ნაკლსა და ჩამორჩენაზეც მიუთითა, კერძოდ, შეეხო კოლხეთის დაბლობის ათვისების ტემპის გაძლიერების აუცილებლობას, კულტურების სწორ შერჩევას და მეცხოველეობის განვითარებას, რათა საქართველო დიდად გავითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად გადაიქცეს.

კოლხეთის დაბლობი საბჭოთა კავშირში სუბტროპიკული მეურნეობის, და განსაკუთრებით ჩაის წარმოების მთავარ ბაზას წარმოადგენს. ჩაის ბუჩქი ნიადაგობრივ პირობებს, მის მეავიანობას, განსაკუთრებით კი წყალფიზიკურ თვისებებს სპეციფიკურ მოთხოვნებს უყენებს. მძიმე თიხა ნიადაგებზე ჩაის მცენარე ცუდად ვითარდება და ნაკლებმოსავლიანია. ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგის შერჩევისას ამ ძირითადი პირობების გაუთვალისწინებლობის გამო კოლხეთის დაბლობზე დაიღუპა რამდენიმე ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია.

კოლხეთის საცდელი სადგურის გეოგრაფიულ ქსელში დაბლობის სხვადასხვა ნიადაგობრივ-მელიორაციულ პირობებში სუბტროპიკულ კულტურებზე ჩატარებული ცდების მრავალი წლის მონაცემები საშუალებას იძლევა დადგინდეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მცენარის ზრდასა და განვითარებაზე ნიადაგობრივი პირობების გავლენა.

ამ მონაცემების საფუძველზე შედგენილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაციონალური

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

ᲫᲛᲐᲝ, ᲫᲛᲘᲗᲐ ᲑᲐᲠ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ!

ᲑᲘᲭᲕᲘᲜᲗᲐ: ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲛᲖᲘᲣᲠᲘ აფხაზეთის ცის ქვეშ ერთმანეთის მხარდამხარ შეხმატკბილებულად იღვხიან აფხაზი, ქართველი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

„ჩვენი მეგობრობა, აფხაზი და ქართველი ხალხების, ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა, — ისინი კი ოთხმოცზე მეტია, გრანტივით ურყევი და მტკიცეა ისევე როგორც საბჭოეთის ყველა ხალხის მეგობრობა, რომელიც ᲓᲔᲐᲓᲣᲦᲐᲑᲐ მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადმა იდეებმა“ — თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

საბჭოთა აფხაზეთის სახელოვანი ქალიშვილებისა და ვაჟიშვილების შრომითი და საბრძოლო გმირობის ამსახველმა ფასდაუდებელმა რელიკვიებმა, ფოტოსურათებმა, წერილებმა და სხვა დოკუმენტებმა მოიყარა თავი ბიჭვინთის მეგობრობის მუზეუმში.

მუზეუმის საზეიმო გახსნაზე შეიკრიბნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა მუშაკები, შრომით კოლექტივების, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

ბიჭვინთის უძველესი ტაძრის მწვანე ეზოში ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. კაპბამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ მუზეუმის შექმნა, რომელიც მდიდარია ისტორიული მასალებით, ექსპონატებით, ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობისა და ძმობის ყველაზე საუკეთესო







ბულგარეთის ჟრესის ფურცლებზე

РАБОТНИЧЕСКО ДЕЛО

შეხვედრა

„რაბოტნიჩესკო დელო“ და „სეპტემვრი“ წერენ, გაზეთ „კომუნისტის“ დახმარებით 35 წლის შემდეგ თუ როგორ იპოვნეს ერთმანეთი ომის მძიმე წლებში დამეგობრებულმა ადამიანებმა.

გთავაზობთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ 1981 წლის 24 ივლისის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებული წერილის „ჩაუქრობელი სიყვარულის“ შემოკლებულ თარგმანს.

„სტარა ზაგორა. 23 ივლისი („რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტი). ეს შეხვედრა საინტერესოა არა მარტო ამ ორი მეგობარი ქალისათვის. იგი სხვების ყურადღებასაც იპყრობს, რადგან ორი მოძმე — ბულგარელი და საბჭოთა ხალხების გულითადი მეგობრობის ბრწყინვალე მაგალითია.

... საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

სურათზე: ლ. პარასკევოვა-პაციუკი (მარცხნიდან მეხუთე) ნიკოლინა ბრატოევას ქმარ-შვილთან ერთად.

და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანოს გაზეთ „კომუნისტის“ 1979 წლის 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა საბჭოთა მეომრის ფორმაში გამოწყობილი ორი ქალის ფოტოსურათი. ერთ-ერთი მათგანი უკრაინის მესამე ფრონტის 287-ე სატელეგრაფო სამშენებლო ხაზების ნაწილის რადისტი თბილისელი ლუბა გიორგის ასული პარასკევოვა იყო. თანდართულ ტექსტში ქ. სტარაზაგორას მცხოვრების ნიკოლინა ნიკოლოზის ასულ ბრატოევას თხოვნა იყო აღნიშნული, რომელიც თავის საბჭოთა მეგობარს ლუბა გიორგის ასულს ეძებდა.

მეორე დღეს რედაქციაში ხანშესული, აღელვებული მანდილოსანი მოვიდა, მას ხელთ სწორედ ის ფოტოსურათი ეპყრა, რომელიც გაზეთში იყო გამოქვეყნებული. იგი ცრემლებს ძლივს იკავებდა — ეს ხომ მე ვარ, ლუბა გიორგის ასული პარასკევოვა.

... 1944 წლის სექტემბერში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში ბულგარეთის პირველი არმიის მეომრებთან ერთად უკრაინის მესამე ფრონტის ჯარები მონაწილეობდნენ. ქ. სტარა ზაგორაში ბულგარელებთან ერთად საბჭოთა მეომრებიც შევიდნენ. მათ შორის ლუბა პარასკევოვაც იყო. საბჭოთა მეომრები რამდენიმე ოჯახში გაანაწილეს. ლუბა პარასკევოვა ანტიფაშისტის ნიკოლოზ პიერლევის ოჯახში მოხვდა. მაშინ ნიკოლოზის უფროსი ქალიშვილი ნიკოლინა 14-15 წლისა იქნებოდა. მისი ძმები მასზე უმცროსები იყვნენ. ოჯახი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ბავშვები თითქმის შიმშილობდნენ. ფაშისტებმა ხომ ქვეყანა მთლიანად გაძარცვეს. პატარების მდგომარეობით შეწუხებული ლუბა მათ თავის ჯარისკაცულ ულუფას უნაწილებდა, ყოველმხრივ ცდილობდა მათთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა. მალე პატარები მოსულიერდნენ. ისინი ლუბას დაუახლოვდნენ, დაუმეგობრდნენ, და როცა საბჭოთა ჯარის ნაწილები საომრად გაემართნენ, ნიკოლინამ თავის უფროს მეგობარს ფოტოსურათი უსახსოვრა ნიშნად სიყვარულისა. ლუბამაც 1944 წელს ბულგარეთში ფრონტელ მეგობართან გადაღებული ფოტოსურათი დაუტოვა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ნიკოლინას მუდამ ახსოვდა საბჭოთა მეომარი, რომელმაც იმ გაჭირვების ჟამს მათი ოჯახის მიმართ დიდი სიკეთე გამოიჩინა. იგი დიდხანს ეძებდა ლუბა პარასკევოვას. არაერთხელ გაუგზავნია წერილი საბჭოთა კავშირში, მაგრამ იმის გამო, რომ ომის შემდეგ ლუბა პარასკევოვა უკვე თავისი მეუღლის, პაციუკის გვარს ატარებდა, წერილი ადრესატს ვერ პოულობდა.

გაზეთ „კომუნისტის“ 1979 წლის 24 აგვისტოს ნომერში სათაურით „სიკეთე არ იკარგება“ გამოქვეყნდა ვრცელი რეპორტაჟი, სადაც აღინიშნა, რომ ბულგარელი მეგობრის თხოვნა შესრულებულია. აქვე დაიბეჭდა ლუბა პარასკევოვა-პაციუკისა და 14 წლის ნიკოლინას სურათები, რომელსაც ლუბა სასოებით ინახავდა.

არც ლუბას დავიწყნია თავისი უმცროსი ბულგარელი მეგობარი. მანაც არაერთხელ გაგზავნა წერილი სტარა ზაგორაში, მაგრამ გვარი დამახინჯებულად ჰქონდა ჩაწერილი, პიერლევას ნაცვლად ბიერლევას წერდა, ამასთან ნიკოლინა უკვე თავისი მეუღლის ბრატოევას გვარზე იყო გადასული. ასე რომ, მხოლოდ გაზეთ „კომუნისტის“ დახმარებით 35 წლის შემდეგ ამ ორმა მეგობარმა ერთმანეთი იპოვა.

ახლახან ლუბა პარასკევოვა-პაციუკი ნიკოლინა ბრატოევას მიწვევით სტუმრად იყო სტარა ზაგორაში. მათ ბულგარელი მასპინძლის მყუდრო ბინაში შეავსეს. ტახტზე ორნი ისხდნენ. ერთი თმაჭაღარა, ასე სამოცდახუთი წლის მანდილოსანი, რომლის მკერდს საბრძოლო მედლები და ორდენი ამშვენებდა, მეორე — ორმოცდაათი წლის სიმპათიური ქალი. მათი გაღიმებული სახეები, გულთბილი საუბარი მიგანიშნებდათ, რომ თავს ბედნიერად გრძნობდნენ. ძნელი იყო აუღელვებლად მოგესმინათ საუბარი იმ საშინელ ომზე, რომელიც ჩვენს ხალხებს ჰიტლერულმა გერმანიამ დაატეხა თავს.

ლუბა პარასკევოვა-პაციუკი ახლა საქართველოში იწვევდა ნიკოლინას ოჯახს. იმ მძიმე წლებში, გაჭირვების ჟამს აღმოცენებული მეგობრობა წმიდათაწმიდაა, ამ სიყვარულმა ისინი სამუდამოდ ერთმანეთს დაუკავშირა“.

ბულგარეთის მწერალთა კავშირის ორგანომ ჟურნალმა „სეპტემვრიმ“ 1981 წლის 20 ივნისის ნომერში ვრცელი წერილი გამოაქვეყნა 35 წლის შემდეგ ორი მეგობრის შეხვედრაზე სათაურით „მე უკვე მარტო აღარა ვარ“. აქვე ქვესათაურში აღნიშნულია, თუ როგორ დაეხმარა გაზეთი „კომუნისტი“ ორ მეგობარს ერთმანეთის პოვნაში. დასტამბულია აგრეთვე მათი შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათი.

ჩვენი მხრივ გვინდა დავსძინოთ, რომ ლუბა პარასკევოვა-პაციუკი დიდ მადლობას უხდის ბრატოევების ოჯახთან ერთად სტარა ზაგორას ქალაქკომის ხელმძღვანელობასაც გულთბილი მასპინძლობისათვის. თბილისელ სტუმარს აჩვენეს ის ადგილები, რომლებიც მათმა ნაწილმა ბრძოლით განვლო, დაათვალიერებინეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ჰქონდათ შეხვედრები ქარხნებში, ფაბრიკებში, მუზეუმებში, ტექნიკუმებსა და სკოლებში.

ლარისა ხუბულური.

მატჩი მსოფლიო პირველობაზე

საზეიმო გახსნა

როგორც კი ბორჯომს მიუახლოვდებით, გაზონთან დიდ ფარს დაინახავთ, რომელიც გაუწყებთ, რომ ეს დიდებული საკურორტო ქალაქი მასპინძლობს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩს მაია ჩიბურდანიძესა და ნანა ალექსანდრიას შორის. თავად ბორჯომში, თითქმის ყველგაა, უთუოდ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის რაიმე მანიშნებელს ნახავთ, ნაძვნარებს შორის წამოჭიმული სანატორიუმ „ლიკანის“ საკონცერტო დარბაზის წინ კი ჭადრაკის მოყვარულთა სიმრავლე იპყრობს ყურადღებას. სწორედ აქ, ამ საკონცერტო დარბაზში თამაშობენ პირველობისათვის მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და ამ წოდების მაძიებელი ნანა ალექსანდრია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მატჩის საორგანიზაციო კომიტეტმა, ბორჯომის პატრაიკომმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და საქადრაკო ფედერაციამ, ბორჯომელებმა, მშენებლებმა ყველაფერი იღონეს, რომ მოჭადრაკეებისათვის თამაშის შესანიშნავი პირობები შეექმნათ. „საქკურორტმშენის“ ბორჯომის სამშენებლო სამმართველომ (უფროსი თ. არუცევი) და უშუალოდ მშენებლებმა საკონცერტო დარბაზის არსებითი რეკონსტრუქციას დიდებულად მოაბეს თავი. მშენებელთა გარჯის შედეგად მოკლე ხანში მოესწრო დარბაზის განახლება, ნაგებობას მიაშენეს საჭირო სათავსები, მოეწყო მატჩის მონაწილეთა, სეკუნდანტ-მწვრთნელთა, მსაჯთა კოლეგიის სამუშაო და დასასვენებელი ოთახები, პრესცენტრი და სხვ. ერთი სიტყვით, განახლდა და გალამაზდა საკონცერტო დარბაზი, აღიჭურვა ახალი ავეჯით და, ცხადია, უფრო მოხდენილი, მიმზიდველი და კომფორტული გახდა.

და აი, გუშინწინ დარბაზი, რომელშიც 800 მაყურებლის ადგილია, ისე გაიჭედა, რომ ფეხის მოსანაცვლებელ ადგილს ვერ იპოვიდით. ბევრი, ძალიან ბევრი დარჩა გარეთ, თუმცა სურდა თავისი თვალით ენახა მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ.

— აი უკვე რამდენი ხანია, — თქვა მან, — ნონა გაფრინდაშვილის ფეხბედნიერმა ტრადიციამ დაიმკვიდრა ჩვენში და მსოფლიო ჩემპიონობისათვის მატჩების გამართვა, როგორც წესი, ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა საშინაო საქმედ იქცა. არა მარტო სპორტსმენებში, არამედ ყველა საბჭოთა მოქალაქეში სიამაყის გრძნობას ბადებს ისიც, რომ ცოტა ხანში ვაყვა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს საბჭოთა მოჭადრაკე ანატოლი კარპოვი დაიცავს და ჭადრაკის ქომაგების ყურადღება მისკენაც იქნება მიმართული...

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს: საკავშირო სპორტკომიტეტის სახელით—ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ივონინმა, სსრ კავშირის საქადრაკო ფედერაციის სახელით — მისმა თავმჯდომარემ კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. სევასტიანოვმა, ბორჯომის რაიონის მშრომელებისა და სახოგადოებრიობის სახელით—სანატორიუმ „ბორჯომის“ მთავარმა ექიმმა ნ. ოსიფაშვილმა, საქართველოს სპორტკომიტეტისა და საქადრაკო ფედერაციის სახელით — რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ. მატჩის მონაწილეებს მიესალმნენ ნონა ტორეანები.

მატჩის რეგლამენტი დამსწრეთ გააცნო მთავარმა მსაჯმა და საერთაშორისო არბიტრმა მ. ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია). მანვე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მთავარი მსაჯის მოადგილე, საერთაშორისო არბიტრი ლ. ვაპესაარი (სსრ კავშირი, ქ. ტალინი).

და ბოლოს, ამხანაგმა ო. ჩერქეზიამ მატჩი გახსნილად გამოაცხადა. შესრულდა სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და ფიდეს ჰიმნები.

საზეიმო გახსნას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ე. შარტავა, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე გ. ბედინეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების სექტორის გამგე ჯ. კვარაცხელია, საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ი. გურგენიძე, აგრეთვე თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან ბორჯომში ჩამოსული სტუმრები.

სურათებზე: სიტყვას წარმოთქვამს სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე კოსმონავტი მფრინავი ვ. სევასტიანოვი; მატჩის საზეიმოდ გახსნა.

ს. კილაძის ფოტო.

პირველი ყაიმი

გუშინ ბორჯომში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძისა და ნანა ალექსანდრიას შორის მატჩის პირველი პარტია. გათამაშდა სიცილიური დაცვის დახურული ვარიანტი. ოცდამეათე სვლაზე მოჭადრაკენი ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე პარტია 10 სექტემბრის გათამაშდება. ამჯერად თეთრებით ითამაშებს ალექსანდრია.

ახალი ციკლი

ახლა, როდესაც ბორჯომში მიმდინარეობს ქალთა შორის 1978-1981 წლების ციკლის დამამთავრებელი მატჩი მსოფლიო ჩემპიონობაზე, პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დაიწყო ახალი ციკლის ერთ-ერთი ზონალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოჭადრაკე ქალები. ორი ტურის შემდეგ ორი ქულით ლიდერობენ ტუნდე ონკიჩი (უნგრეთი) და ელისკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია).

საქართველოს პირველობაზე

საქართველოს საჭადრაკო პირველობის (უმაღლესი ლიგა) მეოთხე ტურში ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა სტურუამ, რომელიც ახლა ერთპიროვნულად ლიდერობს. მან დამამარცხა ვეფხიშვილი. ჩაჩიბაიამ ყაიმით დამთავრა შეხვედრა იაკობაშვილთან და 3,5 ქულით მეორე ადგილზეა. დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გ. გიორგაძემ (ქუთაისი) მოუგო ეფიმოვს, ხეცურიანმა — მიქაძეს, თორიამ—კაბაჯიანს, ყაიმზე შეთანხმდნენ მაჭარაშვილი და ბალათუროვი, ბათუმელები ვოსკანიანი და ნეფერონოვი, პ. გაფრინდაშვილი და დ. გურგენიძე (საგარეჯო). ადრე გადადებული პარტიაში ყაიმზე შეთანხმდნენ მიქაძე და გურგენიძე.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

— ამხ. **ა. ვ. ანჯაფარიძე** საქართველოს სსრ გაზფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ გაზფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობისაგან;

— ამხ. **ი. შ. ხეროდინაშვილი** საქართველოს სსრ გაზფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ გაზფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის მოვალეობისაგან;

— ამხ. **მ. პ. კოკნაძე** — საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ მშენებლობის დარგში და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილის მოვალეობისგან. (საქინფორმი).

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ხუთი მატჩი. „უაირათი“ მიიღებს მოსკოვის „დინამოს“, „ნეფთჩი“ — „ზენიტს“, „შახტიორი“ — „არარატს“, „ჩერნომორეცი“ — „ყუბანს“, „ტორპედო“ — ცსკას.

კალეიდოსკოპი

1980 წლის 9 აგვისტოს ბრაზილიელებთან დამარცხების (0:1) მერე ურუგვაის ეროვნულმა ნაკრებმა ზედიზედ 15 მატჩი წაუგებლად ითამაშა, თანაც სულ ორი ფრე ჰქონდა (13 გამარჯვება). ბურთების შეფარდებაც ბრწყინვალე გახლდათ — 40:11, გამარჯვებებიც საკმაოდ გახმაურებული (გიიხსენეთ, თუნდაც, „ოქროს თასი“). ადგილობრივი ჟურნალისტები კი ახალ-ახალი „ფარსკვლავების“ დაბადებას ატყობინებდნენ სფეხბურთო სამყაროს. ასეთთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ ბომბარდიერებს ვიტორინოსა და მორალესს, რომლებმაც იმ 15 თამაშში 9-9 გოლი გაიტანეს. და აი, სენსაცია: 23 აგვისტოს ურუგვაელებმა საკუთარ მინდორზე წააგეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი პერუელებთან (1:2) და გამოეთხოვნენ ესპანეთის საგზურზე ოცნებას.

სამხრეთამერიკელთა ტემპერამენტი საყოველთაოდ არის ცნობილი. ბრაზილიაში, ურუგვაში, არგენტინაში და სხვა „საფეხბურთოო“ ქვეყნებში ერთობ ხშირია გულშემატკივართა შეტაკებები როგორც სტადიონზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამას წინათ კი ბრაზილიაში თვით ფეხბურთელები გახდნენ ჩხუბის მოთავენი. ერთმანეთს ხვდებოდნენ რიო-დე-ჟანეიროს ცნობილი „ფლამენგო“ და არანაკლებ განთქმული ბელუ-ორიზონტის „ატლეტიკო“. მატჩის არბიტრმა ჯერ ზედიზედ გაამეჭა ოთხი ფეხბურთელი, მაგრამ ამითაც ვერ დაიცხო მეტოქენი — მინდორზე ისეთი მუშტი-კრივი გაიმართა, რომ მსაჯი იძულებული გახდა, შეეწყვიტა შეხვედრა.

ციურიხში, უეფას „შტაბ-ბინაში“ გმოცხადდა, რომ ახალ სეზონში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის თამაშებს მოემსახურება 33 ქვეყნის 226 არბიტრი.

უცხოეთის სტადიონებზე

ზვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადებით მომდინარე საფეხბურთო სეზონში იწარმოებს მსაჯთა გაცვლა-გამოცვლა ამ ქვეყანასა და დასავლეთ გერმანიას შორის. ზვეიცარიელი არბიტრები იმსაჯებენ გფრ-ის ჩემპიონატის მატჩებს, გერმანელები კი ზვეიცარიისას. ამ ორი ქვეყნის ფეხბურთის მესვეურთა აზრით, ამან ხელი უნდა შეუწყოს ობიექტურ მსაჯობას და, მაშასადამე, ფეხბურთის საერთო დონის ამაღლებას.

ახალი ზელანდიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის აზიისა და ოკეანეის შესარჩევ ჯგუფურ ტურნირში პირველობა მოიპოვეს. მათ 14 ქულა დააგროვეს. ახლა გაიმართება ახალი ზელანდიის, ჩინეთის, კუვეიტისა და საუდის არაბეთის გუნდების ტურნირი და სწორედ აქ გამარჯვებული მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას.

მოსკოვის „დინამომ“ ჩეხოსლოვაკიაში ორი ამხანაგური მატჩი გამართა. დინამოელებმა ხების „რუდა გვეზდასთან“ ფრედ ითამაშეს — 1:1, ხოლო პლზენის „შკოდასთან“ გაიმარჯვეს — 4:1.

სატურნირო ორბიტა

პოკერი. გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება „კანადის თასზე“. გთავაზობთ მეოთხე ტურის შედეგებს: კანადა-შვეიცია — 4:3, აშშ-ჩეხოსლოვაკია—6:2, სსრ კავშირი-ფინეთი — 6:1, ოთხი ტურის შემდეგ 7-7 ქულით ლიდერობენ კანადისა და სსრ კავშირის ჰოკეისტები. აშშ-ს და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს 4-4 ქულა აქვთ, შვედებს — 2. ფინელებს ჯერ ქულაც არ მოუპოვებიათ.

წყალბურთი. იუგოსლავიის ქალაქ სპლიტში გრძელდება ევროპის ჩემპიონატები წყალბურთში, წყალხტომასა და ცურვაში. ვატერ შორის ტრამპლინიდან ხტომაში ოქროს მედალს დაეუფლა ა. პორტნოვი (სსრ კავშირი) — 665,94 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილიც საბჭოთა სპორტსმენმა — ს. კუზმინმა მოიპოვა — 641,40. ბრინჯაოს მედალი მიიღო ნ. სტაიკოვიჩმა (ავსტრია)—639,72. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა ჰ. იუჰანსონმა (შვეიცია) — 50,55 წამი. ი. ვოიტე (გდრ) მეორე იყო — 50,85. ს. კრასიუკი (სსრ კავშირი) მესამე ადგილზე გამოვიდა — 50,91. ამავე დისტანციაზე ქალთა შორის უძლიერესი იყო კ. მეტჩუკი (გდრ) — 55,74. 200 მეტრზე ბრასით ცურვაში გაიმარჯვა რ. ჟულპამ (სსრ კავშირი) — 2.16,15. მეორე ადგილი წილად ხვდა ა. მისკარიოვს (სსრ კავშირი) — 2.18,08. საბჭოთა წყალბურთელებმა მესამე ტურში დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები — 10:7.

ანსამბლის დებიუტი

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ეგრისის“ რეპერტუარშია როგორც ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის კომპოზიტორთა და საზღვარგარეთის გამოჩენილ მუსიკოსთა სიმღერები.

ანსამბლი ახლახან დაბრუნდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქიდან, სადაც სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალური კომიტეტის მიწვევით იმყოფებოდა. ათი დღის განმავლობაში 12 კონცერტი გაიმართა და ქართველმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა ყველგან მოწონება დაიმსახურეს.

„ეგრისს“ პირველი საგასტროლო კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ჰქონდა და ქების სიგელი დაიმსახურა. ქების სიგელით დააჯილდოვა ანსამბლი აგრეთვე „სოკოლნიკის“ კულტურისა და დასვენების პარკის დირექციამ, ნ. ბაუმანის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ხელმძღვანელობამ. მოეწყო რამდენიმე საშეფო კონცერტი.

რ. ფერაძე.

სურათებზე: გამოდის თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ეგრისი“.

ორმხრივი სიკეთე

რესპუბლიკის ახალგაზრდა პედაგოგები— ქინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციაში

ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მონეტები, 3 სამაჯური ლარკანის თავის გამოსახულებით, 12 ბრინჯაოს ჯაჭვიანი ამბრელდა, სხვადასხვაგვარი მძივები და მძივსაკიდები, ხელადები, თიხის ჭურჭელი და სხვა.

გასაგებია, რომ ქინვალის ექსპედიციიდან დაბრუნებული ახალგაზრდა პედაგოგები ამ ახალ სასწაველ წელს სულ სხვა შთაბეჭდილებით შეხვდნენ, ისინი მოსწავლეებს მოუთხრობენ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნანახსა და განცდილზე, თავიანთ შეგირდებს თანაბიარს გახდიან გულის ძახილისა, რომელმაც ისინი ქინვალში წაიყვანა.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდა პედაგოგები ერთმა მიზანმა სულ მალე დაუახლოვა ერთმანეთს, მუშაობა გეგმიანი და ხალისიანი იყო, ყველა საერთო საქმის წინ წაწევას ცდილობდა. ამიტომაც ჭირს ახლა რომელიმე მათგანის გამოყოფა: ისინი ყველანი მადლიერებით მოსახსენებელი არიან — რაზმის კომისარი თამაზ მაჭარაშვილი — ჭიათურიდან, დემურ გაბარია — ჩხოროწყუდან, ანა შათირიშვილი — ახმეტიდან, ნანა მეგენეიშვილი, ლიანა ადეიშვილი, ბადრი ვაშაკიძე — სამტრედიიდან, ბელა დაიაური, მარინე ტრაპაიძე — გარდაბნიდან, ნინო ზავრაშვილი, ნანა მახათაძე, მარინე ბუაჩიძე — რუსთავიდან, რაზმის ექიმი — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი იური ჩიხაშვილი. ამ საკმაოდ მძიმე შრომაში განსაკუთრებული მუყაითობა გამოიჩინეს პედაგოგმა ქალებმა.

ჩვენ გვერდით ასევე თავაუღებლად და მუყაითად მუშაობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები, რაზმს ხელმძღვანელობდა ამავე ფაკულტეტის ასპირანტი თემურ ცისკარიშვილი, კომისარი კი სტუდენტი დათო ტოჩილაშვილი იყო.

თითოეული ჩვენგანისათვის განსაკუთრებით დაუვიწყარია ის დღე, როცა ქინვალაჩის მშენებლობას ესტუმრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი ანდრონიკაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ მენთეშაშვილი. მაშინ კიდევ უფრო ცხადად ვიგრძენით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეინვალაჩის მშენებლობას, მუდამ მოფუსფუსე არქეოლოგთა საქმიანობას და, მაშასადამე, ჩვენს გარჯასაც.

ძნელი, ხშირად საკმაოდ დამქანცველი, მაგრამ დიდი კმაყოფილების მომტანი სამუშაოს შემდეგაც გვიწევდა ხოლმე მუშაობა. ამჯერად პედაგოგთა ჯგუფში უპირატესად ქალები იყვნენ, მაგრამ მუყაითობაში ბიჭებს არ ჩამოუვარდებოდნენ.

ეინვალში ჩვენი მუშაობის დროს გაიხსნა II-III საუკუნეების სამი სამარხი.

ოქროს ხანა

ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს მონეტები, 3 სამაჯური ლარკანის თავის გამოსახულებით, 12 ბრინჯაოს ჯაჭვიანი ამბრელდა, სხვადასხვაგვარი მძივები და მძივსაკიდები, ხელადები, თიხის ჭურჭელი და სხვა.

გასაგებია, რომ ქინვალის ექსპედიციიდან დაბრუნებული ახალგაზრდა პედაგოგები ამ ახალ სასწაველ წელს სულ სხვა შთაბეჭდილებით შეხვდნენ, ისინი მოსწავლეებს მოუთხრობენ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნანახსა და განცდილზე, თავიანთ შეგირდებს თანაბიარს გახდიან გულის ძახილისა, რომელმაც ისინი ქინვალში წაიყვანა.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდა პედაგოგები ერთმა მიზანმა სულ მალე დაუახლოვა ერთმანეთს, მუშაობა გეგმიანი და ხალისიანი იყო, ყველა საერთო საქმის წინ წაწევას ცდილობდა. ამიტომაც ჭირს ახლა რომელიმე მათგანის გამოყოფა: ისინი ყველანი მადლიერებით მოსახსენებელი არიან — რაზმის კომისარი თამაზ მაჭარაშვილი — ჭიათურიდან, დემურ გაბარია — ჩხოროწყუდან, ანა შათირიშვილი — ახმეტიდან, ნანა მეგენეიშვილი, ლიანა ადეიშვილი, ბადრი ვაშაკიძე — სამტრედიიდან, ბელა დაიაური, მარინე ტრაპაიძე — გარდაბნიდან, ნინო ზავრაშვილი, ნანა მახათაძე, მარინე ბუაჩიძე — რუსთავიდან, რაზმის ექიმი — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი იური ჩიხაშვილი. ამ საკმაოდ მძიმე შრო-

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 14953 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის „ტ. 14. ფასი 4 კაპიკი ოფსეტური წესით. საბაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

დანაშაულის ქვალდაქვარ

კანონის მთელი სიმკაცრით

გარაჯიდან

„ჟიგული“ მოიპარეს

ხშირად გაიგონებთ, მავანმა და მავანს ქუჩაში ან ეზოში გაჩერებული მანქანა ძოპარესო, დაკარგული მანქანის გამოსახსნელად ამან და ამან რამდენიმე ათასი მანეთი გადაიხადაო, გატაცებული ავტომობილი ნაწილებად დაუშლიათ და მარტო ჩოსჩხი უნახავთო, ანდა ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ უყო პირი, არ იციანო. ერთი სიტყვით, მანქანიანი კაცი სულ იმის შიშში უნდა იყოს, ვინმე გარეწარმა ავტომობილი არ „აუორთქლოს“.

ბაგრატ ხიზანიშვილს თავი ქუდში ჰქონდა, ღამე მშვიდად ეძინა, რადგან მისი „ჟიგული“ საამედოდ იყო ჩაკეტილი სვანეთის ქუჩაზე, მეგობრის ვალიკო მაისურაძის სახლის პირველ სართულზე „გარაჟში“. თორმე ეზოკაც არასოდეს ძინავს და ეს ღამეს გარაჟი გატეხეს და „ჟიგული“ წაიყვანეს.

მანქანის ქურდობის ამბავი სასწრაფოდ შეატყობინეს თბილისს ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას. შეიქმნა საგამოძიებო ოპერატიული ჯგუფი სისხლის სამართლის სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსის, უფროსი ლეიტენანტის ვ. ბეტრეველის, ამავე ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილის მაიორ გურამ გზირიშვილის, უბნის ინსპექტორის, უფროსი ლეიტენანტი რევაზ იოსელიანის შემადგენლობით, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი მაიორ შაქრო წინწყალაძე. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სად იყო და სად არა ბ. ხიზანიშვილთან გაჩნდა ზაურ მდინარაძე და უთხრა:

— დაღუპულხარ კაცი, რა მოგსვლია, „ჟიგული“ მოუპარავთ ვინ არიან ნეტავი ის მამაძაღლები, მაგარი ვინმეები იქნებიან. ერთად წავიდეთ, იქნებ სადმე წავაწყდეთ...

— მილიციაში ვიყავი, განვაცხადე, დამპირდნენ, ვიპოვითო.

— მაგათ იმედზე ჩვენი მტერი იყოს, რამდენი „ჟიგულია“ მოპარული და ვერ უნახავთ, საქმე ჩვენ თვითონ უნდა ვეწიოთ.

— ნათესავი გაგირვებაში უნდა გამომადგეს, „აგაშენეს ღმერთმა“ იქნებ მართლაც ისე სჯობდეს.

ნაძალადევში ზ. მდინარაძე ბ. ხიზანიშვილთან ერთად თოფფურნის ქუჩაზე № 51 სახლში მიადგა ივანე კენჭრხაძეს. იგი ნასამართლევი და უსაქმურია, დამნაშავეთა სამყაროში მას ვანკად იცნობენ.

კენჭრხაძე დიდი თაკანტეტით შემდეგ დაჰპირდა, „ჟიგულს“ გიპოვნინებთო და ისიც დასძინა, ამას სამი ათასი მანეთი დასჭირდებაო. შეიქნა ვაჭრობა და ორ ათასს ხუთასს მანეთზე მორიგდნენ. ბ. ხიზანიშვილმა ახლობლებისგან ისესხა ფული და მისცა ზ. მდინარაძეს, რ